

პრეცედენტული მოვლენები პოლიტიკურ დისკურსში

ელისაბედ ყაფლანიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკა
(ევროპული-რუსული-აღმოსავლური)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ემა ქსოვრელი, ფილოლოგიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ელისაბედ ყაფლანიშვილი

2014 წლის 19 ივნისი

აბსტრაქტი

ნაშრომის კვლევის საგანია პრეცედენტული ფენომენები ქართულ, რუსულ, ინგლისურ და იტალიურ პოლიტიკურ დისკურსებში. მასში განმარტებულია ისეთი ცნებები, როგორებიცაა ინტერტექსტუალობა და ინტერტექსტი, პრეცედენტული ფენომენები და პოლიტიკური დისკურსი. ნაშრომში განხილულია მათი კლასიფიკაციის სხვადასხვა სახეები და მაგალითები პოლიტიკოსთა გამოსვლებიდან, ინტერვიუებიდან, პოლიტიკური სტატიებიდან. წარმოდგენილი კვლევა თვისობრივი ხასიათისაა. მასში გამოყენებულია კვლევის აღწერითი მეთოდი. კვლევის შედეგად ვადგენთ, რომ პრეცედენტული ფენომენები აქტიურად და ეფექტურად გამოიყენება როგორც პოლიტიკოსთა, ასევე ჟურნალისტთა დისკურსში. პრეცედენტული ფენომენების მეშვეობით ისინი ზემოქმედებენ აუდიტორიაზე და მოიპოვებენ მათ კეთილგანწყობას. მსგავსი საშუალებების გამოყენება მათ სიტყვას უფრო მეტ ექსპრესიულობას სძენს. შეიძლება ითქვას, რომ პრეცედენტული მოვლენები პოლიტიკური დისკურსის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ინტერტექსტუალობა, ინტერტექსტი, პოლიტიკური დისკურსი, პრეცედენტული ფენომენი.

Abstract

The subject of the study of this thesis is precedential phenomena in Georgian, Russian, English and Italian political discourses. It defines terms like “intertextuality”, „intertext”, “precedential phenomena”, and political discourse. The study also discusses different types of their classification and examples from the speeches and interviews of the politicians,

political articles. Presented study is based on a qualitative research. It uses descriptivemethodology. The outcome of the research reveals that precedential phenomena are used quite actively and effectively by politiciansand political journalists. It helps them to influence over the audition and gain their favor. The use of such instruments adds expressiveness to their speech. We can conclude that precedential phenomena constitute a vital part of political discourse.

Key Words: Intertextuality, intertext, political discourse, precedential phenomenon.